



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა

2018-2025

ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა

გეგმის მიზანი

უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის მიზანია უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის და სტაბილურობის უზრუნველყოფა, შიდა და გარე რისკების და უნივერსიტეტის საქმიანობის შესაძლო შეფერხებებისგან გამოწვეული ზარალის მინიმიზაცია.

უნივერსიტეტის საქმიანობის შეფერხების გამომწვევი მრავალი მიზეზი არსებობს. წინამდებარე დოკუმენტში იდენტიფიცირებულია შესაძლო რისკები, შეფასებულია მათი ალბათობა და შესაძლო ზეგავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე. ასევე, მოცემულია ინციდენტების აღმოფხვრის და ჩვეული საქმიანობის რეჟიმის დაბრუნების სამოქმედო გეგმა, დადგენილია გეგმის განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირები.

უნივერსიტეტი გარკვეული პერიოდულობით ახდენს არსებული გეგმის შემოწმებას შეფერხების ხელოვნური იმიტაციის გზით.

რისკის ტიპი, ალბათობა და ზეგავლენა

უნივერსიტეტის საქმიანობის შემაფერხებელი ფაქტორები რამდენიმე ტიპად შეიძლება დავყოთ მათი ხასიათის მიხედვით:

- ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული რისკები
- ადამიანური ფაქტორით გამოწვეული რისკები
- ტექნიკური ფაქტორებით გამოწვეული რისკები

თითოეული ტიპის რისკის გათვალისწინებისთვის თავისი სპეციფიკა არსებობს, რაც დაწვრილებით არის განხილული შემდეგ თავებში.

თითოეული რისკი ინდივიდუალურია და შეფასების და მოქმედების ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. რისკები მათი ალბათობით და უნივერსიტეტის საქმიანობაზე ზეგავლენის მასშტაბურობით ხასიათდება.

წინამდებარე დოკუმენტში რისკის ალბათობა შემდეგ კატეგორიებად არის დაყოფილი:

<i>ხშირი</i>	<i>მოსალოდნელი</i>	<i>საშუალო</i>	<i>ნაკლებად სავარაუდო</i>	<i>იშვიათი</i>
--------------	--------------------	----------------	---------------------------	----------------

რისკის ზეგავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე შემდეგი კატეგორიებით განისაზღვრება:

<i>ექსტრემალური</i>	<i>მასშტაბური</i>	<i>საშუალო</i>	<i>მცირე</i>	<i>უმნიშვნელო</i>
---------------------	-------------------	----------------	--------------	-------------------

შეფერხება სხვადასხვა სიმძიმის შეიძლება იყოს უნივერსიტეტის საქმიანობის განსხვავებული მიმართულებებისთვის: სასწავლო პროცესისთვის; კვლევითი პროცესისთვის; უნივერსიტეტის ადმინისტრირებისთვის. ცალკეული რისკების განხილვისას, სადაც ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოყოფილია ყველაზე მეტად კრიტიკული მიმართულებები მოცემული რისკისთვის.

წინამდებარე დოკუმენტში რისკებისთვის შეფასებული პარამეტრები (მაგალითად ალბათობა, ზეგავლენა, მოცდენის პერიოდი, ...) მომავალში დაექვემდებარება გადახედვას ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეული რისკები

ბუნებრივი ფაქტორებით გამოწვეულ რისკებს მიეკუთვნება: მიწისძვრა, ხანძარი, წყალდიდობა, სეტყვა, გვალვა...

მიწისძვრის, ხანძრის და წყალდიდობის შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტში მოქმედებს საგანგებო შტაბი. განსაზღვრულია შტაბში შემავალი ჯგუფები (საევაკუაციო, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების, სამედიცინო რეაგირების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, სახანძრო, სამაშველო,...), ჯგუფის წევრები, მათი მოვალეობები, საკონტაქტო მონაცემები, სამოქმედო გეგმა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

ამ რისკების ალბათობა შეფასებულია განვსაზღვროთ როგორც დაბალი, თუმცა უნივერსიტეტის საქმიანობაზე მათი ზეგავლენა უნდა შეფასდეს როგორც *მასშტაბური* უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა მიმართულებისთვის.

დადგენილი პერიოდულობით უნდა განხორციელდეს საგანგებო სიტუაციის იმიტაცია შტაბის მზადყოფნის შემოწმების მიზნით.

საშუალოდ შეიძლება შეფასდეს გვალვისა და სეტყვისგან მიყენებული ზარალი უნივერსიტეტისთვის. კერძოდ, ზემოთ ხსენებული ფაქტორები დიდ გავლენას ახდენს უნივერსიტეტის ვენახის მოსავალზე. ვენახი წარმოადგენს უნივერსიტეტის დაფინანსების ერთ-ერთ წყაროს და მისი მოსავლის დანაკარგი უარყოფითად აისახება უნივერსიტეტის ფინანსებზე. ამ ტიპის ზარალის მინიმიზაციის საშუალებაა ვენახის დაზღვევა.

ამ კატეგორიის ინციდენტების შესაძლო უარყოფითი შედეგების მინიმიზაცია უნივერსიტეტის მიერ მიიღწევა გამართული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებით და ტრენინგებით, ასევე გამართული სარწყავი სისტემით უნივერსიტეტის ვენახისთვის.

რისკი	ალბათობა	პოტენციური ზეგავლენა	სამოქმედო გეგმა
მიწისძვრა	იშვიათი	ექსტრემალური	საგანგებო შტაბის სამოქმედო გეგმა
ხანძარი	იშვიათი	ექსტრემალური	საგანგებო შტაბის სამოქმედო გეგმა
წყალდიდობა	იშვიათი	საშუალო	საგანგებო შტაბის სამოქმედო გეგმა
სეტყვა	საშუალო	საშუალო	იგეგმება დამცავი ბადეების დამონტაჟება
გვალვა	საშუალო	საშუალო	უნივერსიტეტის ვენახისთვის სარწყავი სისტემის გამოყენება

პერსონალის სამუშაო ადგილზე არ ყოფნით გამოწვეული რისკები

პერსონალის არ ყოფნას სამუშაო ადგილზე სხვადასხვა ტიპის შეფერხებების გამოწვევა შეუძლია უნივერსიტეტის საქმიანობისთვის.

ადმინისტრაციული პერსონალი

ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ადგილზე არ ყოფნას შეიძლება მოყვეს მის მიერ დროულად განსახორციელებელი აქტივობების არ შესრულება, რასაც, თავის მხრივ, შეიძლება მოყვეს უნივერსიტეტის ვალდებულებების არ შესრულება. აღნიშნული რისკი ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს განსაკუთრებით მასშტაბური უარყოფითი შედეგის მომტანიც უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა მიმართულებისთვის.

კანცლერი/რექტორი

კანცლერის ან რექტორის არ ყოფნის შემთხვევაში შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

სამსახურის უფროსის არ ყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს უფროსის მოადგილე. სამსახურის თანამშრომლის ადგილზე არ ყოფნის დროს მასზე დაკისრებული საქმიანობა სამსახურის უფროსის მიერ ნაწილდება სხვა თანამშრომლებზე.

სკოლები

დეკანის არ ყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს დეკანის მოადგილე, ასევე გადაწყვეტილებების მიღებაში ერთვება უნივერსიტეტის რექტორი.

სკოლების სპეციალისტის/კოორდინატორის ადგილზე არ ყოფნის დროს მასზე დაკისრებული საქმიანობა დეკანის მიერ ნაწილდება სხვა თანამშრომლებზე.

სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველო

ვინაიდან ამ სამსახურს აქვს ფუნქციებში სტუდენტების მომსახურების დროში კრიტიკული საქმიანობა (სტუდენტთა ჩარიცხვა, მობილობის პროცესი, ...), განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ საქმიანობის განმახორციელებელი თანამშრომლების სამუშაო ადგილებზე ყოფნა.

სამმართველოს უფროსის ადგილზე არ ყოფნის დროს კანცლერი სამმართველოს თანამშრომელს ნიშნავს კოორდინატორად.

თანამშრომლის ადგილზე არ ყოფნის დროს სამსახურის უფროსის მიერ უმოკლეს ვადაში (მაქსიმუმ 30 წუთის განმავლობაში) ხდება სხვა თანამშრომელზე საქმიანობის გადანაწილება.

გამოცდების ცენტრი

გამოცდების პერიოდში განსაკუთრებით კრიტიკულია ამ სამსახურის პერსონალის ყოფნა სამუშაო ადგილზე.

ცენტრის უფროსის ადგილზე არ ყოფნის დროს კანცლერი ცენტრის თანამშრომელს ნიშნავს კოორდინატორად.

თანამშრომლის არ ყოფნის პერიოდში სამსახურის უფროსი სხვა თანამშრომლებზე ახდენს სამუშაოს გადანაწილებას (მაქსიმუმ 15 წუთის განმავლობაში).

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

თანამშრომლის არ ყოფნის პერიოდში სამსახურის უფროსი სხვა თანამშრომლებზე ახდენს სამუშაოს გადანაწილებას. აღნიშნული სამსახურის თანამშრომლები უწყვეტად იცავენ და აკონტროლებენ შენობებსა და ეზოს. სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე ცვლის გადაბარება არის აუცილებელი პროცესი. აქედან გამომდინარე, თანამშრომლის არ გამოცხადების დროს, დაუყოვნებლივ ხდება სხვა თანამშრომლის გამოძახება და ცვლის გადაბარება.

სხვა სტრუქტურული ერთეულები

აღნიშნული რისკის მინიმიზაციის მიზნით უნივერსიტეტში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმიანობაზე პასუხისმგებელია არა ერთი, არამედ რამდენიმე თანამშრომელი (ცალკეულ შემთხვევებში, მენეჯერულ პოზიციებზე მყოფ თანამშრომლებს ჰყავთ მოადგილეები, რომლებსაც ევალებათ სამსახურების შეუფერხებელი საქმიანობის კოორდინაცია უფროსის ადგილზე არ ყოფნის შემთხვევაში).

მიმდინარე ეტაპზე, ადმინისტრაციული პერსონალის არც თუ ისე დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, თანამშრომლები მეტწილად საქმის კურსში არიან ერთმანეთის მიერ განსახორციელებელი აქტივობების შესახებ. ეს გარემოება, თანამშრომლის არ ყოფნის შემთხვევაში, უნივერსიტეტის მიერ დროული რეაგირების საშუალებას იძლევა.

კონკრეტული თანამშრომლის არ ყოფნის დროს, შესასრულებელი სამუშაოების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის უფროსი. ცალკეულ შემთხვევებში, რექტორის, კანცლერის ან დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ინფორმირების შემდეგ, შესაბამისი გადაწყვეტილება მათ მიერ მიიღება.

ცალკე განხილვის საგანია საინფორმაციო ტექნოლოგიების და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურის თანამშრომლების არ ყოფნის შემთხვევა. ასეთ სიტუაციაში სამოქმედო გეგმა გაწერილია დოკუმენტში „ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მართვის პოლიტიკა და პროცედურები“.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამსახურში არ ყოფნას ძირითადად სტუდენტური სერვისების შეფერხება მოყვება შედეგად.

აღსანიშნავია, რომ მოწვეული პერსონალის სამსახურში არ ყოფნის ალბათობა გაცილებით მეტია აკადემიურ პერსონალთან შედარებით.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მდგრადობის მიზნით უნივერსიტეტში შემუშავებულია „სტუდენტთა კონტინგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი“. შემუშავებული წესის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კრედიტების ნახევარზე მეტს სწორედ აკადემიური პერსონალის მეშვეობით უნდა იღებდეს სტუდენტი. ეს ფაქტორი, გარკვეულწილად ამცირებს რისკს.

მოწვეული პერსონალის გამოუცხადებლობის ალბათობა არის განსაკუთრებით დიდი სემესტრის დასაწყისში. სწორედ ეს პერიოდია მოწვეული პედაგოგის მიერ სასწავლო კურსის წაკითხვაზე უარის გაცხადების დრო.

ამ ტიპის შეფერხების მოგვარების მიზნით უნივერსიტეტი იწვევს სხვა სპეციალისტს.

დროული რეაგირება ევალება პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამისი სკოლის დეკანს.

უნივერსიტეტში ლექტორებისთვის არსებობს სპეციალური ბარათი, რომლის საშუალებითაც ფიქსირდება მათი გამოცხადება მეცადინეობებზე. პერსონალის მიერ ცალკეულ მეცადინეობებზე არ გამოცხადების შემთხვევაში დეკანატი უკავშირდება თანამშრომელს, ადგენს გაცდენის მიზეზს და აზუსტებს მეცადინეობის აღდგენის თარიღს სტუდენტების ინფორმირების მიზნით.

რისკი	ალბათობა	პოტენციური ზეგავლენა	სამოქმედო გეგმა
კანცლერის/რექტორის არ ყოფნა	იშვიათი	საშუალო	გადაწყვეტილებებს იღებს დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არ ყოფნა	იშვიათი	საშუალო	გადაწყვეტილებებს იღებს უფროსის მოადგილე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლის არ ყოფნა	ნაკლებად სავარაუდო	მცირე	სამსახურის უფროსი სხვა თანამშრომლებზე ანაწილებს შესასრულებელ საქმიანობას (მაქსიმუმ 2 საათში)
სკოლის დეკანის არ ყოფნა	იშვიათი	საშუალო	გადაწყვეტილებების მიღებაში ერთვება დეკანის მოადგილე ან რექტორი
სკოლის თანამშრომლის არ ყოფნა	საშუალო	მცირე	დეკანი სხვა თანამშრომლებზე ანაწილებს შესასრულებელ საქმიანობას (მაქსიმუმ 1 საათში)
სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს უფროსის არ ყოფნა	იშვიათი	საშუალო	კანცლერი სამსახურის თანამშრომლებიდან ნიშნავს კოორდინატორს
სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს თანამშრომლის არ ყოფნა	ნაკლებად სავარაუდო	საშუალო	სამსახურის უფროსი სხვა თანამშრომლებზე ანაწილებს შესასრულებელ საქმიანობას (მაქსიმუმ 30 წუთში)
გამოცდების ცენტრის უფროსის არ ყოფნა	იშვიათი	საშუალო	კანცლერი საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებიდან ნიშნავს საგამოცდო პროცესის
გამოცდების ცენტრის თანამშრომლის არ ყოფნა	იშვიათი	საშუალო	ცენტრის უფროსი სხვა თანამშრომლებზე ანაწილებს

			შესასრულებელ საქმიანობას (მაქსიმუმ 15 წუთში)
დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის არ ყოფნა	იშვიათი	მცირე	ცვლის გადაბარებისას გამოიძახება სხვა თანამშრომელი.
აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის არ ყოფნა	მოსალოდნელი	მცირე	ხდება პერსონალთან დაკავშირება და მეცადინეობის აღდგენა მოგვიანებით.

ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული რისკები

რისკების ამ კატეგორიას მიეკუთვნება ადამიანური ფაქტორით გამოწვეული რისკები.

პერსონალის შეცდომა

პერსონალის შეცდომა სხვადასხვა ტიპის შეიძლება იყოს, შესაბამისად, განსხვავებულია შეფერხების მასშტაბებიც.

ადმინისტრაციული პერსონალის შეცდომის მინიმინიზაციის მიზნით, კრიტიკული პროცესების შესრულებისას, უნივერსიტეტში არსებობს თანამშრომლებს შორის კონსულტაციების პრაქტიკა. სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლის მიერ შესრულებულ დოკუმენტებს მისი უშუალო უფროსი უკეთებს ვიზირებას.

თითოეულ თანამშრომელზე დაკისრებული კონკრეტული საქმიანობის დროს გამოწვეული შეცდომის გამოსწორების გზა არის არსებითად დამოკიდებული საქმიანობაზე და შეცდომის ტიპზე. სტანდარტულად, შეცდომის დროს, ხდება უშუალო ხელმძღვანელის ინფორმირება და მათთვის გამოსწორების გზების შეთავაზება.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეცდომები, ძირითადად დაკავშირებულია უნივერსიტეტის მართვის სისტემაში სტუდენტის ქულების შეცდომით შეტანაში. ასეთ დროს, ლექტორი განცხადებით მიმართავს რექტორს აღნიშნული ქულის შესწორების თაობაზე. აღნიშნული მცირე შეფერხება ხდება ხშირად. შეფერხება არის მარტივად გამოსწორებადი.

სტუდენტის ან თანამშრომლის მიერ ტექნიკის განზრახ დაზიანება

აღნიშნული შეფერხება ქართული უნივერსიტეტისთვის შეიძლება შეფასდეს როგორც ნაკლებად სავარაუდო. პერსონალის მიერ არასდროს მომხდარა ამგვარი შემთხვევა, თუმცა სტუდენტების მიერ ტექნიკის დაზიანებას რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი.

აღნიშნული შემთხვევების აღმოჩენა ხდება დაზიანებული ტექნიკის გამოყენების მცდელობის დროს. შემთხვევის შესახებ მეტი დეტალის დასადგენად შეიძლება გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტში არსებული კამერების ჩანაწერები.

დაზიანება, პოტენციურად, შეიძლება განიცადონ კომპიუტერებმა, სმარტ დაფამ, ყავის აპარატმა, ასლგადამღებმა აპარატურამ, კონდენციონერმა, ...

უნივერსიტეტში არსებობს ტექნიკის საკმარისი ოდენობა არსებული შეფერხების დროულად აღმოსაფხვრელად.

ამგვარი შეფერხებას მცირე ზეგავლენა აქვს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე.

გამონაკლისს წარმოადგენს სერვერის დაზიანება, რომლის აღბათობა ფასდება როგორც ნაკლებად სავარაუდო, ხოლო უარყოფითი ზეგავლენა საშუალო. ასეთ დროს მოქმედებაზე პასუხისმგებელი პირები და სამოქმედო გეგმა გაწერილია დოკუმენტში „ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მართვის პოლიტიკა და პროცედურები“.

თანამშრომლის ან სტუდენტის მიერ ელექტრონული მართვის სისტემის ან მისი მონაცემების განზრახ დაზიანება

აღნიშნული ტიპის შეფერხება ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა მისი შესაძლო უარყოფითი ზეგავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე შეიძლება იყოს მასშტაბური.

ელექტრონული მართვის სისტემის განვითარების ჯგუფი (developer team) მუდმივად ზრუნავს სისტემის უსაფრთხოებაზე, რაც ამცირებს ასეთი შეფერხების რისკს. შეფერხების შემდეგ უნივერსიტეტის ჩვეული საქმიანობის რეჟიმის სწრაფად მისაღწევად შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც სისტემის, ისე მისი მონაცემების სარეზერვო ასლები. ასლების წარმოებაზე და შეფერხების დროს მოქმედებაზე პასუხისმგებელი პირები და შეფერხების დროს მოქმედების გეგმა არის გაწერილი დოკუმენტში „ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მართვის პოლიტიკა და პროცედურები“.

კიბერ შეტევა

თანამედროვე სამყაროში კიბერ შეტევების რისკი არის საშუალო, ხოლო შეტევების უარყოფითი შედეგები უნივერსიტეტის საქმიანობისთვის შეიძლება იყოს მასშტაბური.

კიბერ შეტევების მოგერიებაზე და მათ მიერ გამოწვეული შეფერხებების დროულად აღდგენაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახური.

კიბერ შეტევა შეიძლება განხორციელებული იყოს ინფორმაციის ტექნოლოგიების ნებისმიერ კომპონენტზე. თითოეული კომპონენტის უსაფრთხოების და აღდგენის პროცედურები გაწერილია დოკუმენტში „ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მართვის პოლიტიკა და პროცედურები“

სტუდენტების ჩხუბი

ჩხუბის პრევენციას, ასევე, სწრაფად განმუხტვას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური.

ჩხუბის აღბათობა ამ ეტაპზე უნივერსიტეტში არის ნაკლებად სავარაუდო, ხოლო მისი უარყოფითი შედეგები შეიძლება განისაზღვროს როგორც მცირე.

აღნიშნული რისკის შემცირების მიზნით უნივერსიტეტში დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური მუდმივად არის ადგილზე ფიზიკურად, ადევნებს თვალყურს წესრიგს, ინფორმირებულია უნივერსიტეტში სტუმრების მოსვლის თაობაზე წინასწარ. უნივერსიტეტის მთელი პერიმეტრი კონტროლდება სათვალთვალ კამერებით.

სტუდენტთა ახალი ნაკადის სიმცირე

უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობისთვის სტუდენტთა მიღება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენისას მისაღები კონტინგენტის კონკრეტული ოდენობა არის ნაგულისხმევი. თუ უფრო ნაკლები სტუდენტი ჩაირიცხება, ხდება ბიუჯეტის კორექტირება.

იმის გამო, რომ უნივერსიტეტს აქვს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები, ასევე, ბიუჯეტში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსის სწრაფი განვითარება, ზემოთ აღნიშნული შეფერხების დროს, არ შეიქმნება კრიზისული სიტუაცია - ფინანსების გადანაწილება არის შესაძლებელი.

ასეთი სახის შეფერხების დროს ფინანსების გადანაწილებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის კანცლერი.

აღნიშნული რისკი საშუალოდ ალბათურია, მისი ზეგავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე არის საშუალო.

სტუდენტთა მცირე ნაკადის მიღებას უნდა მოყვეს უნივერსიტეტის მენეჯმენტის გააქტიურება ახალი ნაკადის უკეთ მოზიდვის მიზნით.

რისკი	ალბათობა	პოტენციური ზეგავლენა	სამოქმედო გეგმა
პერსონალის შეცდომა	ნაკლებად სავარაუდო	საშუალო	თვითონ პერსონალის ან მისი ხელმძღვანელის მიერ შემოთავაზებული გეგმა არსებული სიტუაციის მიხედვით.
თანამშრომლის ან სტუდენტის მიერ ელექტრონული მართვის სისტემის ან მისი მონაცემების განზრახ დაზიანება	იშვიათი	მასშტაბური	გეგმა, რომელიც მოცემულია „ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მართვის პოლიტიკა და პროცედურებში“
კიბერ შეტევა	საშუალო	მასშტაბური	გეგმა, რომელიც მოცემულია „ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მართვის პოლიტიკა და პროცედურებში“
სტუდენტების ჩხუბი	ნაკლებად სავარაუდო	მცირე	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის აქტიური ჩარევა
სტუდენტთა ახალი ნაკადის სიმცირე	საშუალო	საშუალო	ბიუჯეტში გათვალისწინებული რეზერვების ამოქმედება

ტექნიკური ფაქტორებით გამოწვეული რისკები

რისკების ამ კატეგორიას მიეკუთვნება უნივერსიტეტისთვის გარე მომწოდებლების მიერ შემოთავაზებული სერვისები.

ინტერნეტის მიწოდება

ინტერნეტი ქართული უნივერსიტეტის როგორც სასწავლო-კვლევითი პროცესის, ასევე უნივერსიტეტის მართვის პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი მიწოდების შეწყვეტა პროვაიდერის შეფერხების გამო არის საშუალოდ ალბათური¹. ინტერნეტის შეწყვეტით გამოწვეული უარყოფითი შედეგები დროის მოკლე შუალედში შეიძლება დახასიათდეს როგორც უმნიშვნელო, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში გახდება უფრო მასშტაბური.

„ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მართვის პოლიტიკა და პროცედურები“-ის დოკუმენტში გაწერილია ქსელური შეფერხების შემთხვევაში უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, რამდენიმე დღიანი უინტერნეტობის დროსაც კი, თითქმის სრულფასოვანი საქმიანობა არის შესაძლებელი. ასეთ დროს, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახური უნდა თანამშრომლობდეს გარე პროვაიდერთან სერვისის დროულად აღდგენის მიზნით.

ელექტრო ენერჯის მიწოდება

ელექტრო ენერჯის მიწოდების შეფერხება არის საშუალოდ ალბათური. ინტერნეტის შეწყვეტით გამოწვეული უარყოფითი შედეგები დროის მოკლე შუალედში შეიძლება დახასიათდეს როგორც საშუალო, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში გახდება უფრო მასშტაბური².

იმის გამო, რომ უნივერსიტეტის ელექტრონული სერვისების უმეტესობა გატანილია უნივერსიტეტს გარეთ ღრუბლოვანი ტექნოლოგიებში, ამ სისტემების მოხმარება და ადმინისტრირება ნაწილობრივ შესაძლებელია მობილური ტელეფონებიდანაც. ეს ფაქტორი არის მხოლოდ მცირედი ადმინისტრაციული საქმიანობის სრულყოფილად გასახორციელებლად.

ელექტრო ენერჯის მიწოდების შეწყვეტის პირობებში ვერ ფუნქციონირებს აუდიტორიებში განთავსებული აპარატურა, კომპიუტერული ლაბორატორიები, საკონფერენციო აპარატურა, პრინტერები, კონდენციონრები, ლიფტი, ... შეფერხებულია უნივერსიტეტში მიდინარე რემონტის, და სხვა ტიპის სამუშაოები.

ამ ტიპის შეფერხება 1 დღის განმავლობაში არ იწვევს განსაკუთრებულ შედეგებს, თუმცა მეტი პერიოდი არის უკვე კრიტიკული.

წყლის მიწოდება

წყლის მიწოდების შეფერხება არის კრიტიკული სველი წერტილების სათანადოდ ფუნქციონირებისთვის, ასევე უნივერსიტეტის კაფეტერიის შეუფერხებელი საქმიანობისთვის. ხანმოკლე (1 დღიანი) შეფერხება უნივერსიტეტის საქმიანობისთვის არ წარმოადგენს

¹ ამ რისკის შემცირების მიზნით უნივერსიტეტში დაგეგმილია სარეზერვო ხაზის შემოყვანა ინტერნეტის ალტერნატიული მომწოდებლისგან. ამ გეგმის განხორციელების შემდეგ, წელიწადში ორჯერ უნდა მოხდეს ერთი პროვაიდერის გათიშვის იმიტაცია და მეორე პროვაიდერზე ავტომატურ რეჟიმში გადართვის შემოწმება.

² ამ რისკის შემცირების მიზნით უნივერსიტეტში დაგეგმილია გენერატორის მონტაჟი. ამ გეგმის განხორციელების შემდეგ, წელიწადში ორჯერ უნდა მოხდეს ელექტრო ენერჯის წასვლის იმიტაცია და გენერატორის და გადართვის მექანიზმის გამართულობის შემოწმება.

მნიშვნელოვან წინაღობას, თუმცა უფრო გრძელვადიანი შეფერხება არის კრიტიკული. ახლო მდებარე ტერიტორიიდან წყლის მოტანა რეზერვუარებით მხოლოდ ნაწილობრივ აგვარებს პრობლემას.

ლოგისტიკისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური ჩართულობა არის საჭირო წყლის მომწოდებელ პროვაიდერთან ამ შეფერხების დროს.

ბუნებრივი აირის მიწოდება

ბუნებრივი აირით მარაგდება უნივერსიტეტის კაფეტერია და უნივერსიტეტის ცენტრალური გათბობის საქვაბე.

კაფეტერიის მომსახურების დროებითი შეჩერება უარყოფითად აისახება უნივერსიტეტის ფინანსებზე, რადგან კაფეტერია წარმოადგენს დაფინანსების ერთ-ერთი წყაროს უნივერსიტეტისთვის.

უნივერსიტეტის ცენტრალური გათბობის საქვაბის მუშაობის შეფერხება ყურადსაღებია ზამთრის პერიოდში. უნივერსიტეტში არსებობს გათბობის ალტერნატიული საშუალებები, თუმცა ნაკლებად ეფექტურია და დიდი ოდენობით ელექტრო ენერჯიას მოიხმარს. აუდიტორიებში შესაძლებელია გათბობის რეჟიმის ჩართვა კონდენციონერზე, თუმცა ძლიერი ყინვების პერიოდში კონდენციონერის გათბობის რეჟიმი არ არის ეფექტური.

ლოგისტიკისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური ჩართულობა არის საჭირო წყლის მომწოდებელ პროვაიდერთან ამ შეფერხების დროს.

რისკი	ალბათობა	პოტენციური ზეგავლენა	სამოქმედო გეგმა
ინტერნეტის მიწოდების შეწყვეტა	საშუალო	მცირე	გეგმა, რომელიც მოცემულია „ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მართვის პოლიტიკა და პროცედურებში“
ელექტრო ენერჯიის მიწოდების შეწყვეტა	მოსალოდნელი	მასშტაბური	გეგმა, რომელიც მოცემულია „ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მართვის პოლიტიკა და პროცედურებში“
წყალმომარაგების შეწყვეტა	საშუალო	საშუალო	ლოგისტიკისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური თანამშრომლობა მომწოდებელ პროვაიდერთან.
ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტა	საშუალო	საშუალო	ლოგისტიკისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური თანამშრომლობა მომწოდებელ პროვაიდერთან.

რისკების ალბათობის და უნივერსიტეტის საქმიანობაზე ზეგავლენის მატრიცა

		ზ ე გ ა ვ ლ ე ნ ა				
		უმნიშვნელო	მცირე	საშუალო	მასშტაბური	ექსტრემალური
ა ლ ბ ა თ ა ო ბ ა	ხშირი					
	მოსალოდნელი		აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის არ ყოფნა		ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტა	
	საშუალო		ინტერნეტის მიწოდების შეწყვეტა; სკოლის თანამშრომლის არ ყოფნა	სეტყვა; გვალვა; პერსონალის შეცდომა; წყალმომარაგების შეწყვეტა; ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტა; სტუდენტთა ახალი ნაკადის სიმცირე	კიბერ შეტევა	
	ნაკლებად სავარაუდო		სტუდენტების ჩხუბი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლის არ ყოფნა	სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს თანამშრომლის არ ყოფნა		
	იშვიათი		დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის არ ყოფნა	წყალდიდობა; კანცლერის/რექტორის არ ყოფნა; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არ ყოფნა; სკოლის დეკანის არ ყოფნა; გამოცდების ცენტრის თანამშრომლის არ ყოფნა	თანამშრომლის ან სტუდენტის მიერ ელექტრონული მართვის სისტემის ან მისი მონაცემების განზრახ დაზიანება	მიწისძვრა; ხანძარი;